

# მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან  
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:  
WWW.opentext.ge/menora

ებრაული გაზეთი	<b>"מנורה"</b>	"МЕНОРА"
საქართველოში	<b>עיתון יהודי</b>	ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
MENORA	<b>בגורר</b>	В ГРУЗИИ
JEWISH NEWSPAPER		
IN GEORGIA		

თიბერვალი
(შვბატი)
1-15
№3 (290)
(5769 წელი)
2009 წელი
ჯასი 50 თეთრი

# הוראה

## მსოფლიოს ებრაელთა ფორუმი

### კულტურა!

26-27 იანვარს იერუსალიმში გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მე-13 პლენარული ასამბლეა — ამგვარ სხდომებს მსოფლიოს ებრაული კონგრესი ატარებს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, რათა განიხილოს თანამედროვე ებრაული სამყაროს მნიშვნელოვანი პრობლემები, გამოავლინონ უახლოესი ხანის ტენდენციები, აირჩიონ ახალი ხელმძღვანელობა.

პლენარული ასამბლეა გახსნა მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა როლანდ ლაუდერმა.

ასამბლეის პირველივე სხდომის სტუმარი გახლდათ ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი, რომელმაც გააკეთა მეტად საყურადღებო ანალიზი თანამედროვე ებრაელობაში, ისრაელის სახელმწიფოსა და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესებისა.

ასამბლეის წევრად მსოფლიოს უმთავრესი საკითხები გახლდათ ლაზარეტი, საერთაშორისო ურთიერთობები, მისი შედეგები, მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალობა, თანამედროვე ანტისემიტიზმი, მისი სათავე, გამომწვევე მიზეზები. ირანის მიერ ატომური იარაღის შექმნის სამზადისი, ისრაელში ჩასატარებელი ქნესეთის არჩევნები, დიასპორა და ისრაელი.

ამ საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა, საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერმა, „ლიკუდის“ თავმჯდომარემ ბინიამინ ნეთანიაჰუმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა, „კადიმას“ თავმჯდომარემ ციპი ლივნიმ, დიასპორის მინისტრმა იცხაკ პერცოგმა და სხვებმა. საყურადღებოდ იქნა მიჩნეული ევრა-აზიის ებრაული კონგრესის პრეზიდენტის ალ. მაშკევიჩის გამოსვლა, რომელიც მუსლიმთა და იუდეველთა დიალოგის საკითხებს ეხებოდა, იერუსალიმის მერმა, ბიზნესმენმა ნირ ბარკათმა კი ყურადღება გაამახვილა ებრაული სახელმწიფოს განუყოფელი დედაქალაქის — იერუსალიმის არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რის გამოც ამ ქალაქს ყოველწლიურად ტოვებს 17 ათასი ებრაელი. მუსლიმი მოსახლეობა კი იზრდება. ერთობ მთავარკონტრები გახლდათ გამოჩენილი თეოლოგის, რაბი ადინ შტეინზალცის გამოსვლა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა იუდაიზმის ძირითადი დებულებების პრინციპებსა და თანამედროვე ყოფაში მასთან ურთიერთობაზე.

ასამბლეამ მოისმინა რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმაციები მათს რეგიონებში შექმნილი სიტუაციის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ინდოელი ალბერტ ტელეგავეკარის, თურქეთიდან ჩამოსული ლინა ფილიბას, ვენესუელელი აბრაჰამ ლევი ბენსიმოლის მოხსენებებმა, პირველი

შეხებოდა მუშაობაში ჩატარებულ ტერორისტულ აქტს, რომელსაც რამდენიმე ებრაელის სიცოცხლეც შეეწირა. ხოლო თურქეთის ებრაელთა კონფედერაციის წარმომადგენელმა ლინა ფილიბამ ასამბლეის წევრებს უამბო, თუ როგორ შეიცვალა თურქეთის დამოკიდებულება ისრაელისადმი მას შემდეგ, რაც ისრაელმა ღაზაში სამხედრო ოპერაცია დაიწყო.

— 27 დეკემბერსვე სტამბულში თავსიშის მოედანზე ისრაელის საინააღმდეგო საპროტესტო აქცია შედგა — ამბობს ქ-ნი ლინა ფილიბა — ეს განაპირობა იმან, რომ პრემიერმა გააკეთა განცხადება „ისრაელი ხოცავს მუსლიმებს“. პრემიერი ერდოღანი თავს დაესხა ისრაელს, აქეზებდა ხალხს ისრაელის წინააღმდეგ, იყო სინაგოგათა დარბევები, მონოდებები: „დავცხოთ ებრაელებს!“ პოლიცია კი არ ერეოდა. ქალაქებში გამოჩნდა პოსტერები წარწერით: „ებრაელები მკვლევები არიან“, ტროტუარებზე კი ყვითელი ფერის ვარსკვლავები, რათა ხალხს ფეხით ეთელა დავითის ვარსკვლავი. ტელევიზიაში არის გადაცემები, რომელიც ხალხს აქეზებს ისრაელის, ებრაელთა წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით კობი ბენატოფმა — ევროპის ებრაელთა კონგრესის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურქეთი სხვა გზით წავიდა.

ვენესუელის წარმომადგენელმა აბრაჰამ ლევი ბენსიმოლმა წარმოადგინა ვიდეომასალა, რომელიც მოიცავს ვენესუელის პრეზიდენტის ჰუგო ჩავესის ანტიისრაელურ მონოდებებს. აქ ბლომად იყო ანტიებრაული მონოდებები, ასამბლეაზე გამოიკვეთა აზრი იმის თაობაზე, რომ თანამედროვე მსოფლიოში ანტიებრაულ სულისკვეთებას ალვივებენ პალესტინური ორგანიზაციები.

გენერალური ასამბლეის სერიოზული მსჯელობის საგანი გახლდათ ირანში ატომური ბომბის შექმნის საკითხი. ამ თემაზე ვრცლად ისაუბრეს „მოსადის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა ეფრაიმ ჰალევიმ და ისრაელის ყოფილმა ელჩმა ირანში ური ლიბრანიმ. ყველაფერ ამასთან მჭიდრო კავშირში გახლდათ იადვამში ჩატარებული საუბრები, ახლადშექმნილი ექსპოზიციის გახსნა. ამან გამოკვეთა თემა: ეს არ არის მხოლოდ გუშინდელი დღე, ეს შესაძლოა განმეორდეს!

პლენარულმა ასამბლეამ პრეზიდენტად კვლავ როლანდ ლაუდერი აირჩია.

საქართველოდან პლენარული ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ჯემალ აჯაიშვილი, გურამ ბათიაშვილი და ელენე ბერკოვიჩი.



ქეთილ მირილაშვილის დაბრუნება

## მიხეილ მირილაშვილის დაბრუნება



გაზეთი „მენორა“ ხშირად აქვეყნებდა მასალებს იმის თაობაზე, პეტერბურგელი ბიზნესმენი და მეცენატი მიხეილ მირილაშვილი, თუ როგორ მოიქცევს რუსეთის სამართალდამცავთა მარნუხებში. მიხეილ მირილაშვილი ღირსეულად მოიხადა სასჯელი. იგი იანვრის ბოლოს თავის ოჯახს დაუბრუნდა, ხოლო ევროსაბჭოს სასამართლომ, სადაც მისი სარჩელი განიხილეს, თავისი განაჩენი გამოიტანა: იმის გამო, რომ მიხეილ მირილაშვილის საქმის განხილვისას დაშვებული იქნა რიგი შეცდომებისა, რუსეთის ხელისუფლება დაავალდებულეს მიხეილ მირილაშვილს გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა.

მიხეილ მირილაშვილი ადრეულ წლებში გახლდათ რუსეთის ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი. მრავალი ებრაული საქმის სულისჩამდგმელი, მეცენატი, მის სახელსვე უკავშირდება საქართველოს ებრაელთა კონგრესის შექმნის იდეა, ამ ფრიად კეთილშობილური საქმის

წამოწყება.

„მენორას“ რედაქტორთან საუბარში ცხადი გახდა, რომ მიხეილ მირილაშვილი კვლავ მხნედ გრძნობს თავს, სასჯელ-ალსრულებით ბანაკში გატარებულმა 8 წელიწადმა ვერა-რა დააკლო მის სულისკვეთებას.

— ყველაფერი სასიკეთოა — მოიშველია მან შლომო ჰამელეხის შეგონება.

ხოლო ეკონომიკურ მიმომხილველთა აზრით, მისი ბიზნესი არ დაზარალებულა, კიდევ უფრო გაფართოვდაო

ასე რომ უმძიმესმა წლებმა ვერაფერი დააკლეს მ. მირილაშვილის სულისკვეთებას. მთავარია, რომ იგი ჯანსაღი, მტკიცე რწმენით დაუბრუნდა ოჯახს, თავის საქმიანობას.

„მენორა“ მიხეილ მირილაშვილს ულოცავს ცხოვრების ქარიშხლიანი დღეების გავლას, ოპტიმისტური სულისკვეთების შენარჩუნებას, უსურვებს წარმატებულ, მშვიდობიან ყოფას.

# ჩემი ერთ-ერთი ჩანაწერი, ან უკვე განხორციელებული...

(სტუმრად ბატონ ილია მოსიაშვილთან — ცნობილ ბიზნესმენთან და მეცენატთან)



თბილისში კიდევ ერთი მაღალი კლასის სასტუმრო გაიხსნა. მხედველობაში გვაქვს სასტუმრო „ბაზალეთი“ რომელიც მდებარეობს დედაქალაქის ცენტრში, გულიას ქუჩის 1 ნომერში. სასტუმროს სახელწოდება ადამიანს უთუოდ მიანიშნებს დუშეთის რაიონში ბაზალეთის ტბასთან მდებარე დასასვენებელ კომპლექსთან კავშირზე. ეს კომპლექსი



ძირითადად დამსვენებლებისთვის არის განკუთვნილი, თუმცა, ბაზალეთის ტბის სანაპიროზე შექმნილ ამ ნალკოტს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ორგანიზაციები მხოლოდ დასასვენებლად როდი სტუმრობენ, აქ მათთვის სამუშაო პირობებიცაა შექმნილი, ცხოვრობენ და შრომობენ კიდევ. თბილისში გასულ კვირას გახსნილი „ბაზალეთი“ საუკეთესო სასტუმროების რიცხვში შედის. იგი ხასიათდება, მაღალი დონით, კომფორტაბელურობითა და საუკეთესო პირობებით. მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ ახალმა სასტუმრომ კიდევ უფრო დიდი ფუნქციური დატვირთვა მისცა ბაზალეთის ნალკოტს.

რა მახასიათებლები გააჩნია ახალ სასტუმროს? მთავარი: იგი ისევე, როგორც ბაზალეთის კომპლექსი, მაღალი დონის მომსახურებით გამოირჩევა. ორივე სასტუმროში ფუნქციონირებს საკონფერენციო დარბაზები, სრული ტექნიკური აღჭურვილობით — პროექტორით, ეკრანით, პრინტერით, სინქრონული თარგმანის აპარატით და ა.შ.

აგრეთვე არის მცირე სათათბირო ოთახები ფურშეტებისა და "coffee breakes" ადგილები, მინი-ბარები და სატრენაჟორო დარბაზები. იხსნება ძალიან დიდი სპორტული ცენტრი, მალე ექსპლუატაციაში შევა ოთხი ბასეინი, აგრეთვე ბილიარდისა და ბოულინგის დარბაზები. ნომრები აღჭურვილია სატელეფონო და ინტერნეტ ქსელებით, ტელევიზორით, მინი-მაჯივრით, სამუშაო მაგიდით და დუშ-კაბინით, ან აბაზანით. რესტორანში მუშაობენ საუკეთესო მზარეულები. უცხოელი სტუმრებისთვის მოქმედებს შვედური სუფრა, კომფორტული დასვენებისათვის განკუთვნილი ულამაზესი ლობი, სადაც აგრეთვე ბარი ფუნქციონირებს.

ბაზალეთის ტბის კომპლექსი თითქმის 7 ჰექტარზეა გადაჭიმული. მას აქვს ორ იარუსიანი ქვაფენილით განყოფილი საკუთარი პლაჟი, ბავშვებისთვის განკუთვნილი სასრილო და გასართობი ადგილი. მომსახურე პერსონალი ორივე

ობიექტზე, მაღალი დონის სერვისების შესაბამისად, ყოველთვის მზად არის სტუმრის ყოველგვარი მოთხოვნის შესასრულებლად. მაქსიმალურად არის დაცული სტუმართა უსაფრთხოება.

ჩვენ გავესაუბრეთ ამ ორი შესანიშნავი სასტუმროს მებატონეს ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს ბატონ ილია მოსიაშვილს, რომელსაც სწორედ საქართველოსადმი დიდმა სიყვარულმა გადაწყვეტინა იმ პროექტების განხორციელება, რომელიც მიმართულია ტურიზმის განვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

— **გაზეთ „მენორას“ რედაქცია გილოცავთ ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში ახალი სასტუმროს გახსნას და მკითხველის ინფორმირების მიზნით გვსურს რამდენიმე კითხვას გაცეთ პასუხი.**

— **გისმენთ.**  
— **რამ განაპირობა ამ რაიონში სასტუმროს აშენება?**

— სწორედ რაიონის მახასიათებლებია. ხედავთ, თუ როგორ გაიზარდა თბილისი, ერთი რაიონიდან მეორეში მისასვლელად ზოგჯერ ლამის მთელი საათია საჭირო, „ბაზალეთს“ კი ძალიან კარგი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს: ხელმარცხნივ — ისანი, ავლაბარი, აეროპორტისაკენ მიმავალი გზა, ქვემოთ კი სანაპირო, საიდანაც გაცილებით იოლად მოხვდები ქალაქის ნებისმიერ რაიონში. დღეს ყველაფერი ეს უკვე კომფორტის რაღაც ნაწილია,



სხვა ეპოქა დადგა. ალბათ, არც ის არის უმნიშვნელო ფაქტი, რომ ახლო-მახლო არც-ერთი სასტუმრო არ არის.

— **ცნობილი და გამოცდილი ბიზნესმენი ხართ, რატომ აირჩიეთ ტურისტული ბიზნესი, მაშინ როცა შეგეძლოთ ნებისმიერი საქმისთვის მოგეკიდათ ხელი.**

— ყოველ ადამიანს აქვს ჩანაწერი, მოსაზრება, რომლის განხორციელებასაც ესწრაფის. მე, როგორც ებრაელს და ამავე დროს ქართველს, ამ ქვეყნის მოყვარულს, საქართველოში ჩამოსვლისთანავე გამიჩნდა სურვილი შემექმნა ისეთი რამ, რაც თაობებს დარჩებოდა. ჩემი მიზანი საქართველოში ტურიზმის განვითარება გახლავთ. დანებებისთანავე ბევრი დაბრკოლება შემექმნა, რაც ხელს უშლიდა ჩემი გეგმების განხორციელებას და რამაც განაპირობა საქმის მთელი 12 წლით გაჭიანურება. ჩემი ერთ-ერთი ჩანაწერი, ან უკვე განხორციელებული, არის სწორედ ეს სასტუმრო. დიდხანს ვატარებდი ამ იდეას, მე მაქვს დარჩენილი ერთი მიზანი — ავაშენო დიდი ობიექტი და მისი დასრულების შემდეგ თამამად შევძლებ იმის თქმას, რომ მოვიხადე ჩემი ვალი საქართველოს წინაშე. მე ვარ საქართ-

ველოში დაბადებული, ეროვნებით ებრაელი, მაგრამ მიყვარს როგორც ისრაელი, ისე საქართველო. რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის ეს მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება, დასაქმდება ბევრი ადამიანი, გაჩნდება სამუშაო ადგილები, რაც ნამდვილად არ იქნება ურიგო დღევანდელ რთულ პირობებში.

— **თქვენ, ერთ-ერთი ცნობილი ებრაელი ბიზნესმენი და მეცენატი როგორ ფიქრობთ: დღეს გაამართლებს და წარმატებული იქნება ტურისტული ბიზნესი ჩვენთან — საქართველოში?**

— ბაზალეთის ტბის კომპლექსის და თბილისის სასტუმროს აშენების მიზანი სწორედ საქართველოში ტურიზმის განვითარებაა, დაათვალიერეთ, კარგად გაეცანით ამ ობიექტებს და თქვენ თავად დარწმუნდებით, რომ „ბაზალეთი“ ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროა თბილისში. სწორედ ეს ორი ობიექტი გვაძლევს იმის პირობას, რომ ტურიზმი აუცილებლად განვითარდება. ადრე, როდესაც თბილისში ტურისტი ჩამოდიოდა, მას არ ჰქონდა დიდი არჩევანის საშუალება. ახლა არის ბაზალეთის კომპლექსი, ხოლო დედაქალაქში „ბაზალეთი“ — ბიზნესკლასის ტიპის სასტუმრო. ასე რომ, ტურისტი თავს კომფორტულად იგრძნობს და კმაყოფილი დატოვებს საქართველოს.

საკმაოდ რთული პირობებია საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის. მე ბევრი დაბრკოლება მქონდა, თუმცა, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი გამოსწორდება. ღარ თქმა უნდა, მთავრობისაგან ჩვენ მხარდაჭერას და თანადგომას ველოდებით სამწუხაროდ, დღეს იოლი მდგომარეობა არ არის — რუსმა აგრესორებმა საკმაოდ დიდი დარტყმა მიყენეს საქართველოს თითქმის ყველა სფეროში. ისედაც მძიმე ეკონომიურმა ვითარებამ, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია, ჩვენთანაც განაპირობა ბანკების მიერ სესხებისა და კრედიტების გაუცემლობა, რაც გვირთულებს სამუშაო პირობებს. აგრეთვე გაძვირდა ენერგორესურსები. თუმცა, ვვარაუდობ, რომ ეს მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება. დიდი იმედი მაქვს, ხელისუფლება შეეშველება ტურიზმის განვითარებას, რადგან მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ტურ-



იზმის განვითარება კი დიდ წარმატებას მოუტანს ქვეყნის ინდუსტრიულ, თუ აგრარულ განვითარებას, ვაჭრობას, ალუმინოციფრას. ამიტომ მე საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ მთავრობა უნდა დაგვეხმაროს, მოგვცეს გარკვეულ შეღავათები, რათა არ ჩაკედეს ტურიზმი. თუ გვინდა, რომ ქვეყანა განვითარდეს, ტურიზმის მომძლავრება ამის ერთ-ერთი უპირველესი პირობათაგანია. მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყანის ბიუჯეტის განმტკიცებაში დიდი ადგ-

ილი უჭირავს ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალს, ბევრი ქვეყნის ბიუჯეტი კი თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ტურიზმზე, მე ვფიქრობ, რომ სწორედ ტურიზმი შეუწყობს ხელს საქართველოს დიდ მომავალს, რადგან ქვეყანა და აქ მცხოვრები ხალხი, ძალიან საინტერესო, განათლებული, მოსიყვარულე და რა თქმა უნდა, სტუმართმოყვარეა. მე, წინა მთავრობის წარმომადგენლებს, რასაც ვეუბნებოდი, იგივე მიხდა ვუთხრა ახლანდელს: საქართველოს ერთ-ერთი მხსნელი არის ტურიზმი. გავხადოთ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოსთვის საინტერესო, მიმზიდველი რომ აქ ჩამოსვლა ბევრს ენატრებოდეს. თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, საქართველო იქნება წარჩინებული სახელმწიფო, რომელიც გაიხარებს და აყვავდება!

— **როგორ მიმდინარეობს ბაზალეთის ტბის კომპლექსის მშენებლობა და არის თუ არა ის უკვე დასრულებული?**

— რომ არა ზოგიერთის არასწორი მიდგომა საკითხისადმი და გაჭიანურება, ამ კომპლექსის მშენებლობა დიდი ხნის დასრულებული იქნებოდა. მთავრობამ უნდა გაატაროს გარკვეული ღონისძიებები, რათა მივიღოთ შეღავათიანი სესხები, ხანგრძლივი კრედიტები. მთელ მსოფლიოში ისეთ დარგს, რომელიც პრიორიტეტულია და რომელიც მომავალში ქვეყანას გამოადგება, სახელმწიფო ეხმარება, ან აძლევს შეღავათიან სესხებს. მე მაღლობს ვუხდი ჩვენს პრეზიდენტს ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს განუელი დახმარებისათვის. კერძოდ, ბაზალეთის კომპლექსთან მოსასვლელი გზის აშენებისთვის, მაგრამ ენერგორესურსის გაძვირებამ გაუსაძლისი გახადა ჩვენი მუშაობა. მე იმედს ვიტოვებ, რომ ამას მიეცევა ყურადღება. კარგი იქნება, თუ ჩვენ შევქმნით სასწავლებლებს, რომელშიც მოვაზადებთ კადრებს, რათა მომსახურების დონე არ ჩამორჩეს მსოფლიო სტანდარტებს. თუ ამ ყველაფერს გავაკეთებთ, მჯერა, რომ ქვეყანა მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამოვა.

— **რა ელირება, იქნება, თუ არა ხელმისაწვდომი ფასები თქვენს სასტუმროში?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კლასის ნომერს აირჩევს სტუმრები, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ფასები ჩვენთან იქნება შეღავათიანი და ხელმისაწვდომი. მე თამამად შემიძლია გითხრა, რომ საუკეთესო ნომრები ქალაქში, ჩვენთან გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე სხვა სასტუმროებში.

— **რა დატვირთვით მუშაობს დღეს სასტუმრო „ბაზალეთი“?**

— სწორედ ახლა საქართველოში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში. სპორტსმენთა დიდი ნაწილი ჩვენს სასტუმროშია დაბინავებული.

— **და ბოლოს, მიხდა გკითხოთ თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ.**

— მომავალში მე ვაპირებ კიდევ ერთი სასტუმროს აშენებას. ჩვენ ქალაქის ცენტრში უკვე გვაქვს სასტუმრო „ბაზალეთი“, ბაზალეთის ტბის კომპლექსი სოფელ ბაზალეთში და მისამე სასტუმრო იქნება მსგავსად ამ ორისა ერთ-ერთი საუკეთესო. ჩემი გეგმების სრულად განხორციელების შემდეგ, მე შემიძლება ვთქვა, რომ ჩემი მოვალეობა ქართველი და ებრაელი ხალხის წინაშე პირნათლად მოვიხადე.

— **დიდი მადლობა საუბრისათვის.**

საუბარი ჩაინერა  
ლილია სომეხაძე






აქტუალური ინტერვიუ

ჩვენი სტუმარია მწერალი გურამ ბათიაშვილი

სინათლისა და სიბნელის მარადიული ომი



შარშანდელი წელი ნაყოფიერი გამოდგა ბატონი გურამ ბათიაშვილისათვის...

ბატონი გურამ ბათიაშვილი არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში...

საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ძალზე მნიშვნელოვანია...

შემდეგ სპექტაკლი ნიუ-იორკელი გელა საჩალელის და ნინო ყენიას ინიციატივით...

სპექტაკლი იყო შედეგიერი, შთაბეჭებით, ნიჭიერებით მოუღვა...

როგორი შთაბეჭდილება დატოვა ამერიკაში თავმოყრილმა ჩვენმა სისხლმა და ხორცმა?

შეასიშნავი! ეს არის საქართველოზე შეყვარებული...

რასაკვირველია, კარგია მათი ფიქრი ისევე საქართველოს როგორ დასტრიალებს თავს...

ამას ვერ ვიტყვი აშშ-ში მოხვედრილ ქართველ ახალგაზრდებზე...

შეხვედრები სანტა ბარბარას უნივერსიტეტშიც ყოფილა დაგეგმილი...

უნდა გითხრათ, რომ მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობამ ეს ფესტივალი კარგად გამოიყენა...

ქართველი ებრაელის ფენომენი განსაკუთრებულია...

მინდა გულახდილად გითხრათ, ხშირად მსმენია, რა კარგი ადამიანია გურამი...

რომანის წარდგენაზეც (ამ რომანს რუსულ, მოსკოვურ გამოცემაში „ბაბილონი“ ვიკი) უხერხულად ვგრძნობდით თავს...

მისი ინტერესები უნდა იყოს...

არ მოენონა ის, რომ რომანს დიდი მფეფ დავეთის ფსალმუნისეული სტრიქონი ვერქვა?

როგორ არა, მაგრამ იგი ბრძენი კაცი გახლდათ და ძალიან კარგად იცოდა იუდაიზმი...

გარემომცველი სამყაროს სამსახურს, მისი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას...

თქვენ კარგად აღნიშნეთ, საუკუნეების განმავლობაში ქართველი ებრაელის ფენომენი ჩამოყალიბდა...

შარშან, თებერვალ-მარტში მოსკოვში თქვენი ახალი რომანის „ჟამი დუმილისა, ჟამი უბნობისა“ წარდგინება გაიმართა...

რამდენიმე თვით ადრე?

არ შემიძლია არ ვთქვა: როდესაც არ გვინდა მოვლენებს თვალი გავუსწოროთ და რეალისტური ვიყოთ...

მასხენდება, ივლისში საქართველოში, მაიაკოვსკის დღეები გაიმართა, საგანგებოდ ჩამოვიდნენ რუსი მწერლები...

რუსმა მწერლებმა ქართულ კულტურაზე დიდი პატივისცემით ილაპარაკეს...

თითქოს ენამ მიყვილაო, თქვენ თავადაც იცით, როგორ ახლა აგვისტოში ეს ყველაფერი...

რომანის წარდგენაზეც (ამ რომანს რუსულ, მოსკოვურ გამოცემაში „ბაბილონი“ ვიკი) უხერხულად ვგრძნობდით თავს...





ყოველთვიური საერთაშორისო მიმოხილვა

რუბრიკას უძღვება თეატრ იაკობაშვილი



გლობალური მოვლენებიდან, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია პირველ რიგში ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პროცესები, ანუ ოპერაცია ლაზარს სექტორში, ობამას გაპრეზიდენტება და რუსეთ-უკრაინის გაზის ომი. ამ თვალსაზრისით, რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი გასათვალისწინებელი: დავინყოთ ობამას არჩევნებით. არჩევნები აშშ-ში იყო ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იმდენად, რამდენადაც ამერიკაში პრეზიდენტად აირჩიეს ფერადკანიანი ადამიანი და ამას საკმაოდ შორსმომავალი შედეგები ექნება.. ამ არჩევნებით დასრულდა საუბარი რასიზმზე თავის საკუთარ ქვეყანაში — როდესაც მას ჰყავს ფერადკანიანი პრეზიდენტი, ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი. ასევე ძალიან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ობამა პოპულარულია არა მარტო აშშ-ში, არამედ ამერიკის გარეთაც და ეს მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც ჩვენ საქმე გვქონდა ანტიამერიკანიზმის სერიოზულ ზრდასთან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ახლა კი არის მოლოდინი, რომ ანტიამერიკული განწყობილება და ეს პროცესები მთლიანად შეტრიალდება, შეიცვლება ეს პროცესები. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ადვილი არ იქნება, მაგრამ დასაწყისი ძალიან მნიშვნელოვანია. დღეიდან ახალი ეპოქა დაიწყო და მსოფლიოში ყველა ახალ მოვლენებს ელოდება.

ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი არის ის, რომ მთელი რიგ მოვლენებს, რომლებიც ბოლო ხანს მსოფლიოში მოხდა, დამლად აზის დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში. იმის ანალიზს თუ რა, რატომ და როგორ მოხდა, ჩვენ არ შევუდგებით, თუმცა, ფაქტია, რომ იყო ძალიან უსუ-

ლაზარს სექტორი, მოსკოვი საქართველოს ხვალის დღის ჭრილში

სური მცდელობა იმისა, რომ „ჰამასის“ მემკვიდრეობით ნავთობზე ფასები ხელოვნურად გაეზარდათ. ვფიქრობ, ამ რეალობაში ისრაელს გამოსავალი არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოითხოვდა ძალების სერიოზულ დაძაბვას და კონცენტრაციას, მას როგორმე უნდა აეღავდა ეს მოვლენები. მოდით, გულახდილად ვთქვათ, რომ ძალიან ბევრი იყო სექტორული განწყობილი — მოახერხებდა თუ არა ამას ისრაელი. თუ ჩვენ მხოლოდ ციფრების ენით ვისაუბრებთ, ვნახავთ, რომ ისრაელმა უზარმაზარ წარმატებას მიაღწია. ისრაელის მხრიდან დაღუპულია 10 ადამიანი, ხოლო პალესტინელების მხრიდან ათას ორასზე მეტი კაცი, უმეტესი მათგანი არის „ჰამასის“ „ბოევიკი“. განადგურებულია მათი სამხედრო სტრუქტურა, რომლითაც ისინი სერიოზულ ზიანს აყენებდნენ ისრაელს. „ჰამასს“ ისეთი სერიოზული დარტყმა მიაღწია, რომლიდანაც იგი კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს თავის დაღწევას. ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ომი მიმდინარეობდა არა ჩვეულებრივი კონვენციური გზებით, არამედ ეს იყო საქალაქო ომები. ლაზარს სექტორი არის ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონი და ამ რეგიონში ომის წარმოება, შესაბამისად, არ იყო ადვილი, იმის გამო, რომ არ ყოფილიყო დიდი რაოდენობის მსხვერპლი. იმ პირობებში, როდესაც „ჰამასი“ იყენებდა ლიად საკმაოდ ბინძურ სტრატეგიას, როგორც არის სკოლებიდან, საბავშვო ბაღებიდან, საავადმყოფოებიდან, მეჩეთებიდან და სხვა საჯარო დაწესებულებებიდან სროლა იმის გათვლით, რომ რომ დიდხანსაც ისრაელი საპასუხო იერიშებს განახორციელებდა, ეს გახდებოდა სერიოზული მსხვერპლის მომტანი ბავშვებში, ქალებში და საერთოდ მშვიდობიან მოსახლეობაში. ნებისმიერი სამხედრო ექსპერტი გეტყვით, რომ ისრაელმა ეს ოპერაცია ჩაატარა უმნიშვნოდ და ის ჯარისკაცები, რომლებიც ისრაელის მხრიდან დაიღუპნენ, ძირითადად დაღუპულნი არიან თავიანთივე შეცდომების გამო. ისრაელმა დაამტკიცა, რომ მან კარგი დასკვნები გააკეთა ლიბანის ბოლო კამპანიისა და ძალიან სერიოზულად მომზადებული შეხვდა ამ ოპერაციას — ეფექტურად განახორციელა კიდევ იგი. ჩემი აზრით, ამ ომის შემდეგ ისრაელის პრესტიჟი გაცილებით მაღალი იქნება მსოფლიოში, ხოლო „ჰამასის“, „ჰეზბოლას“ და საერთოდ ასეთი ტერორისტული ორგანიზაციების ეფექტურობა, გაცილებით

შემცირდება. შემდეგი უდავოდ მნიშვნელოვანი თემაა რუსეთ-უკრაინის „გაზის ომი“, რომელშიც ნებისმიერ შემთხვევაში აღმოჩნდნენ ევროპის სახელმწიფოები. თვითონ ის ფაქტი, რომ ერთმორწმუნე, მართლმადიდებელი რუსეთი ბომბავს საქართველოს, იპყრობს მის ტერიტორიებს, ერჩის უკრაინას, ყინავს ზამთარში რუმინეთს, ბულგარეთს და სერბეთს, რომლებიც, როგორც მოგეხსენებათ, მართლმადიდებლური ქვეყნებია და მეგობრობს „ჰამასთან“ და ირანთან, ვფიქრობ, თავისთავად მეტყველებს, თუ როგორ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე და რას შეიძლება მისგან ველოდოთ. ჩემი აზრით, უკრაინამ საკმაოდ სერიოზულ გამოცდას გაუძლო — რუსეთმა ვერ მოახერხა მისი გატყუება. ან კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს, თუ რაოდენ არაცივილური მეთოდებით ცდილობს რუსეთი თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევას. ყველამ დაინახა, რომ „გაზის კონფლიქტი“ არ იყო ჩვეულებრივი კომერციული დისპუტი, ეს იყო კარგად დაგეგმილი, პოლიტიკური მიზნების მქონე პროვოკაცია. ამ პროვოკაციის შედეგად რუსეთმა, მინიმუმ, მილიარდზე მეტი დოლარი წააგო, მაგრამ, ჩემი აზრით, განუზომლად დიდია ის მიზანი, რომელიც რუსეთის ფედერაციამ მიიღო იმიჯის თვალსაზრისით. ევროპის სახელმწიფოები უკვე სერიოზულად ფიქრობენ ენერჯეტიკის რეფორმების რეალური შანსი მიეცა. ეს არის პროექტი, რომელიც რუსეთის გავლით გაზს მიანოდებს ევროპას და რუსეთმა თუ ასეთი პოლიტიკური დაკარგა ცენტრალური აზიის გაზის მონოპოლია, მაშინ „გაზპრომს“ საკმაოდ შავი დღე დაადგება. ეს ყველაფერი აისახა კიდევ რუსეთის საფონდო ბირჟაზე, რადგანაც „გაზპრომის“ აქციები კატასტროფულად ეცემა. ეს ხდება ნავთობზე ფასის სერიოზული კლების მიმდინარეულ დროს საკმაოდ რთული წელიწადი იქნება იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთს მოუწევს სერიოზულად გადახედოს თავის „მადას“, მათ შორის საგარეო პოლიტიკურს, რაც საკმაოდ მძიმე იქნება და ამის გამო შეიძლება მას გაუჩნდეს სურვილი ვიღაცას ხელი შეახოცოს ან ავნოს და ეს ვიღაცა შესაძლოა აღმოჩნდეთ ჩვენ. რუსეთის ეკონომიკა კატასტროფული სისწრაფით მიექანება ქვევით და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ ჩავყვეთ მათ ამ კატასტროფულ ვარდნაში. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა,

ჩვენ რატომღაც ჩვენი ქვეყანა, აფხაზეთი და ოსეთიც მივყოლებთ ამ ყველაფერს და იმედია, რომ ახლა იგივეს არ გავიმეორებთ. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს. მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ისეთ უდავო ისტორიულ მოვლენაზე, როგორც არის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის გაფორმება აშშ-სთან. ეს იმ დონის მოვლენაა, რომელსაც შეუძლია მთლიანად შეცვალოს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი. ეს იყო ხელისუფლების არჩევანი, რომ დასავლეთმა განავითაროს საქართველო. ეს ქარტია არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი და უკვე გაფორმებული დოკუმენტი ამ გზაზე სასიარულოდ. ქართულ ენაში ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ბევრი სპარსული სიტყვა, რადგან, როდესაც საქართველო სპარსეთის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო, შესაბამისად, მას კულტურული გავლენა ჰქონდა, მაგრამ დღეს რომ ვინმეს ჰკითხოთ დაეუშვათ სიტყვა „ბუხარი“ ან „ქარხანა“ საიდან მოდის, ძალიან ცოტა თუ გიპასუხებთ, რომ ეს სიტყვები სპარსული წარმოშობისაა. თავის დროზე „გეორგიევსკის ტრაქტატმა“ შეცვალა მთლიანად საქართველოს განვითარების ვექტორი და დღეს ის, რომ საქართველო თუნდაც დაესვას იმყოფებოდა სპარსეთის გავლენის სფეროში, ალბათ, აღარავის აღარც ახსოვს. ვფიქრობ, ეს ქარტია იგივე ძალის მატარებელია, რაც თავის დროზე ჰქონდა „გეორგიევსკის ტრაქტატს“. მე არ დავინყებ იმის გარჩევას კარგი იყო თუ ცუდი ეს ტრაქტატი, რადგან ვფიქრობ, რომ ერთი იყო და მეორეც, გააჩნია ისტორიის რომელ პერიოდს განვიხილავთ, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს უკვე რეალობა მთლიანად შეიცვალა, დღევანდელი რუსეთი არის დაკნინებული ძალა და საქართველოს არჩევანი იხრება დასავლეთისკენ, ევროპაში. ამას თავისი ფორმა უკვე მიეცა ამ ქარტიის სახით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამის პარალელურად ჩვენ საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ ევროპასთან ურთიერთობების განვითარებაზე, ევროპასთან ინდივიდუალურ თანამშრომლობაზე და მალე იქნება დოკუმენტი ევროპასთან ასოცირებული პარტნიორების შესახებ. ეს ორი დოკუმენტი იქნება უკვე ჩვენთვის ის საბაზისო ამოსავალი წერილები, რომლის მემკვიდრეობაც ჩვენ მოვახდენთ საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციას.

ფიროსმანი ბათ-იამის თეატრალურ სარდაფში




ქართული ეროვნული კულტურის საყოველთაოდ აღიარებული კლასიკოსი, თვითნასწავლი მხატვარი ნიკო ფიროსმანი, თავის დროზე კი უსაშველოდ მარტოსული, უოჯახოდ, უსახლკაროდ, უპატრონოდ დარჩენილი, საფლავის ქვა და ადგილიც, რომ არავის სცოდნია, სიკვდილის შემდეგ ღირსეულად იკავენს ადგილს მსოფლიო ხელოვნების პანთეონში.

უკვე დიდი ხანია მისი შემოქმედებით გაოცებული უამრავი თაყვანისმცემელი მიაგებს პატივს უდიდეს ხელოვანს, არა მარტო მის სამშობლოში, შორს მის საზღვრებს გარეშაც. არ არის გასაკვირი, თითქმის საუკუნის გადმომღმა, ისრაელშიც, თეატრალურ სალონებშიც ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრების და შემოქმედების გახსენება. ქ. ბათ-იამში, აუდიტორიებში წარმოდგენილი იქნა მხატვრის ცხოვრების ამსახველი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია; სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი მსახიობი და რეჟისორი ნანა იანოვსკაია-ბერაძე. ნამყვანები- თვით რეჟისორი ნ. იანოვსკაია, ნონა ჩიკო (ჩიკვაშვილი) აბსორბციის სამინისტროს წარჩინებული თანამშრომელი და ესთერ მორი - მუსიკოსი, ეთერ დანილოვი. სპექტაკლი გახსნა ჩვენი თემის შესანიშნავმა ქალბატონმა - ლეა კრიხელმა. სცენაზე ამალღებული ქართული სული, ქართული აქცენტი (თუმცა, კომპოზიცია რუსულ ენაზე მიმდინარეობდა) და სცენაზე მყოფი სამი მშვენიერი მანდილოსანი დიდი შემოქმედის შთაგონებით ანთებულყო.

კარგად გააზრებულმა სპექტაკლმა, შესანიშნავმა მუსიკალურმა გაფორმებამ, სამი არაპროფესიონალი მსახიობის პროფესიონალობამდე ასვლა, მხატვრული კითხვის ოსტატობამ, ჩაცმულობის სისადვირე მაყურებელი მყისვე გადაიყვანა მხატვრის ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში მისი ყოფის ყოველ კუთხე-კუნჭულში და ჩვენს თვალწინ წარმოსდგა ლალი, ხელგაშლილი ბუნებით მდიდარი და ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ნიკო ფიროსმანი თავის შემოქმედებითი ხიბლითა და გენეზისით; აისახა ცხოვრება დიდების კართან მისული მხატვრისა, მთელი თავისი ყოფითი დრამით და მიწიერი არსებების ტრაგიზმით. წარმოდგენის დაწყებიდან დასრულებამდე არ შენელებულა ამალღებული ემოციურობა; დასასრულს კი თვალცრემლიანი, კმაყოფილი მაყურებელი სცენაზე ასვლით, უამრავი ყვავილით და შუშხუნა შამპანურის ჩამოსხმით გამარჯვებას ულოცავს სპექტაკლის ნამყვან სამ შესანიშნავ ქალბატონს და თითქოს ამ დღეს ახდენოდა ნიკოვს საუკუნის წინ აუხდენელი ნატვრა დიდის ხის სახლის აშენებისა, დიდი მაგიდის და სამოვარის დადგმისა,

ხელოვნებაზე საუბრისა, ამ დიდი სახლის თბილისს გარეთ, შორს, ძალიან შორს თეატრალურ სალონებში გადმოტანით და მისი შემოქმედების ნათელის აელვებით. თქვენ კი, ჩვენო ძვირფასო ნანა, ნონა და ესთერ დიდი მადლობა მშვენიერების კიდევ ერთხელ გაცდისათვის.

სიმე ჯანაშვილი







### ენითი უთაყაყდავი ეპიზოდი

ებრაელები ცხინვალში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ და ერთ ხანობას მოსახლეობის უმეტეს ნაწილსაც კი შეადგენდნენ. გაზეთი „დროება“ (42, 1867 წ.) წერდა:

„ცხინვალელი ებრაელების უმთავრესი საქმიანობა ვაჭრობა იყო, მაგრამ ნაწილი სოფლის მეურნეობასაც მისდევდა. ცხინვალის ებრაულმა მოსახლეობამ საგრძობლად მოიმატა XIX საუკუნის II ნახევრიდან. ცხინვალს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო უადრესად ფართო გასაქანი ჰქონდა. მას ესაზღვრებოდა როგორც ხე-ტყით, ასევე მეცხოველეობის პროდუქტებით მდიდარი მთის ზომის ადგილები (ასევე ბარიც), რომელნიც მდიდარი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ცხინვალში ჩამოდიოდნენ წარმოებული პროდუქტის სარეალიზაციოდ და ყოველდღიურად საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. ცხინვალელი ებრაელების ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მათ აქ თავიანთი მცირე ბაზარიც ჰქონდათ XIX საუკუნის დასასრულიდან, რომელიც ქალაქის გაღავნის გარეთ მდებარეობდა და გარს ეკვროდა ებრაელთა უბანს.“

თუმცა ცხინვალში მცხოვრებთა იდილია დიდხანს როდი გრძელდებოდა... ისინი მუდამდღე ელოდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან სხვადასხვა ტომების თავდასხმას. ეს საფრთხე განსაკუთრებით მაშინ ძლიერდებოდა, როცა საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია უარესდებოდა. ასე იყო 1918 წლის აპრილში, როცა საქართველოს ერთი მხრივ, თურქეთი ემუქრებოდა, მეორეს მხრივ კი ბოლშევიკური რუსეთი. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას ეხმაურებიან ქუთაისში ამავე 1918 წელს დაფუძნებული გაზეთის „ხმა ებრაელისა“-ში გამოქვეყნებული კორესპონდენციები. მათი ავტორი ვინმე ი. ჯი-ლი (ალბათ, ი. ჯიჯიშვილი — მ.ბ.) მოგვითხრობს: „ფესახის (ებრაული რელიგიური დღესასწაული — მ.ბ.) მესამე დღე იყო ცხინვალის გარშემო ატყდა აურზაური. უეცრად გაისმა თოფის და ყუმბარების გრიალი. ცხინვალს ოსები დაეცნენ. საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, რომ ჩვენს ისრაელელების უბანსაც გარს შემოერტყა მტერი. ყველგან ისმოდა ბავშვების და ქალების მწუხარე ტირილი... გარეთ გაქცევა შეუძლებელი იყო, განაპირა სოფლები და ვენახები ცეცხლის ალში იყო გახვეული და მოპირდაპირედ გამოსროლილი ტყვიები წვიმასავით მოდიოდა ქუჩაში.“ ამავე კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ მომხდურებისათვის წინააღმდეგობა ადგილობრივ გვარდიელებს და მილიციის მუშაკებს გაუწევია. ასევე ებრაელ მოსახლეობას და გვარდიელ ისრაელელებს — „ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა ერთი გვარდიელი ისრაელელი, რომელიც მყისვე საავადმყოფოში მოათავსეს, დანარჩენები მსუბუქად დაჭრილნი არ უშვებდნენ იარაღს ხელს და უკანასკნელი ძალ-ღონით იგერიებდნენ მტერს. ნაშუადღევს, სამი საათი იქნებოდა, რომ ოსები ბაზრისკენ შემოსულიყვნენ და გაიფანტნენ, დარჩა მხოლოდ რამდენიმე ისრაელელი, რომელნიც კიდევ ბრძოლას განაგრძობდნენ“ (გაზეთი „ხმა ებრაელისა“, 3, 8.04, 1818 წ. გვ. 4).

დამხვედურთა წინააღმდეგობით გააფრთხულ ოსებს სასტიკად დაურბევიათ, გაუძარცვიათ და ფიზიკურად გასწორებიან ებრაულ უბანს: — „... თუ მათ ვინმე ეტყოდა: „გვაკმარეთ ეს ანიოკება, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ“ — ისინი ცემით უპასუხებდნენ — „თქვენ დასახოცები ხართ, ქართველმა და სომეხმა თუ გაბედა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა, თქვენ ხომ სოფლებში მოსიარულენი ხართ და კრიშებიდან სროლა როგორ გაბედეთო“ — აღნიშნულია ამავე კორესპონდენციისაში.

განუკითხაობა ცხინვალში ორ დღეს გაგრძელდა. „...ყველა უსამართლობას ხომ ბოლო აქვს და ოსებმაც ორი დღის თარეშობის შემდეგ, როდესაც გვარდიელები (ქართველი გვარდიელები — მ.ბ.) დიდი ძალით მოდის გორიდანო, დასტოვეს ცხინვალს და გუშინ, ფესახის უკანასკნელ დღეს, ნაშუადღევს ოთხ საათზე, ცხინვალში შემოვიდა გვარდიის ჯარის ს. მაისურაძის და ბ. ჯულელის წინამძღოლობით, ფიქრობდნენ ოსებისკენ წასვლას, მდგომარეობა გაცილებით უკეთესია.“ ეს ინფორმაცია, რომლის ოპერატიულობა (გუშინ, ფესახის უკანასკნელ დღეს) დღევანდელ გაზეთებსაც კი შემურდებათ, იმავე გაზეთში „ხმა ებრაელისა“-ში გამოქვეყნდა.

კიდევ ერთხელ ვფურცლავ, რა თითქმის ასი წლის წინათ გამოცემული გაზეთის გაყვითლებულ ფურცლებს, კვლავაც ცოცხლდება ქართულ-ებრაული ძმური თანაცხოვრების ერთი, შესაძლოა მცირე, მაგრამ მთამბეჭდავი ეპიზოდი.

#### მერაბ ბუჭუნიშვილი გაზეთი „საწუთრო“, 1, იანვარი

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი თანაგრძობას უცხადებს კონგრესის ვიცე-პრეზიდენტს რომან შალელაშვილს ძმის
<b>არონ შალელაშვილის</b> გარდაცვალების გამო.
დოდო და მიშკო, ლაურა და მიხო, კუსო და ბაია მირილაშვილები იუნკებიან ახლო ნათესავის
<b>არონ შალელაშვილის</b> გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
აბრამ მიხაელი და ხახამ აბრამ ელაშვილი(მოსკოვი) ოჯახებით გამოხატავენ ღრმა გულისტკივილს ძვირფასი პიროვნების—
<b>არონ შალელაშვილის</b> გარდაცვალების გამო
დავით ბააზოვი, გურამ ბათიაშვილი, ჯემალ აჯიაშვილი და არონ ელაშვილი ოჯახებით თანაგრძობას უცხადებენ რომან შალელაშვილს ძმის—
<b>არონ შალელაშვილის</b> გარდაცვალების გამო

# ვის არის ქეშმარილი ებრაელი ქალი?

**რომელი პასუხია სწორი?  
რა ნესიავს და კანონებს უნდა იცავდეს და ასრულებდეს ჭეშმარიტი ებრაელი ქალი?  
ბინდათ შიამოწმით, იმსახურებთ თუ არა ამ ღირსეულ წოდებას?  
თუ ასეთი სურვილი გაქვთ, მოიზარჯვით კალამი.**

1. დილის ლოცვისას მამაკაცი წარმოსთქვამს კურთხევას: „კურთხეული ხარ, უფალო, ჩვენო ღმერთო. სამყაროს მეუფე, დიაცად რომ შემქმენი“. ქალი კი მიუგებს:

1. „რომ არ შემქმენი მამაკაცად“.
2. „რომ შემქმენი დიაცად“.
3. „რომ შემქმენი მე შენი სურვილის სადარად“.
4. „რომ შემქმენი მე ესოდენ ლამაზი“.

2. შაბათის სანთლის ანთების შემდეგ ქალები:

1. თვლებზე ხელს აიფარებენ.
2. თავს თავსაფრით დაიფარავენ.
3. მამაკაცებს სთხოვენ, შეტრიალდნენ.
4. შეიღებენ აკურთხებენ.

3. რომელი წიგნიდან გახლავთ ნაწყვეტი შაბათის ჰიმნისა, „ვის პოვებს ცოლს კეთილსასურველს?“

1. ფსალმუნი (თეილიმი)
2. „ქებათა ქება“.
3. რუთის წიგნი.
4. იგავთა წიგნი

4. რომელი წესი უნდა დაიცვას ქალმა უსათუოდ?

1. სუქოთში იძინოს სუქაში
2. დილას და საღამოს იკითხოს „შემაყ, ისრაელ...“
3. ფურცლებში უსმინოს „ესთერის წიგნის“ კითხვას.
4. დღეში ილოცოს სამჯერ.

5. ებრაელი გოგონა სრულწლოვანი ხდება.

1. 12 წლისა.
2. 13 წლისა.
3. 15 წლისა.
4. 18 წლისა.

6. შალახის მიხედვით, ქალს არა აქვს უფლება:

1. დაიდოს თეფილინი,
2. აცხოს მაცა.
3. ქორწინებისას გვევლინებოდეს მოწმედ.
4. სუფრასთან იჯდეს მამაკაცთან ერთად.

7. მიშნის მიხედვით, ქალის მიწვევა სეფერთორის საკითხავად:

1. აკრძალულია.
2. შეიძლება, მაგრამ მხოლოდ მამაკაცთან ერთად.
3. შეიძლება, მაგრამ არა ერთი. ერთდროულად სამი ქალი მაინც...
4. შეიძლება, მაგრამ მიღებული არ არის და არც რეკომენდირებულია.

8. ქალიშვილთა კურთხევისას, როგორც წესი, მშობლები ეუბნებიან: „და გააქციოს ღმერთმა ვითარცა...“

1. სარა და რიბკა,
2. სარა, რიბკა, რახელი და ლეა.
3. რახელი და ლეა.
4. სარა, რიბკა, რახელი, ლეა, მირიამი და ესთერი.

9. რომელი სამი ალთქმა საგანგებოდ ქალებისთვის:

1. ხალის განცალკევება, ქაშრუთის დაცვა, შაბათის სანთლების ანთება.
2. ხალის განცალკევება, ქაშრუთის დაცვა, ოჯახური სინმინდის კანონების დაცვა.
3. ხალის განცალკევება, ოჯახური სინმინდის კანონების დაცვა, შაბათის სანთლების ანთება,
4. შაბათის სანთლების ანთება, თავმდაბლობა, ოჯახური სინმინდის კანონების დაცვა.

10. ებრაული კალენდრის რომელი დღე ითვლება ქალთა დღედ?

1. 15 აბი.
2. რომ ჰამანა (ახალი წელი).
3. რომ ხოდემი (ახალმთვარეობა).
4. ებრაული თარიღი, რომელიც ემთხვევა 8 მარტს.

11. „ბენ ჰა-მეცარამის“ დღეები მთელი რიგი თემების ებრაელი ქალები თავს იკავებდნენ, რომ...

1. ემბერათ.
2. ექსოვათ.
3. მოემზადებინათ თევზის გეფილე.
4. გამოეცხათ საშაბათო ხალა.

12. პროზელით ქალს (ადამიანი, რომელმაც მიიღო იუდაიზმი) არ შეუძლია:

1. ცოლად გაჰყვეს ქონეს.
2. ანთოს შაბათის სანთელი.
3. განაცალკეოს ხალა.
4. მიწვეული იქნას თორის საკითხავად.

13. ბევრ ძველ ლოცვანთა წიგნში, სიდურში, შეიძლება შეგხვდეთ იდიშურად ჩანიშნული „აქ“:

1. ავდგეთ
2. ვილოცოთ.
3. თაყვანი ვცეთ.
4. მივიდეთ სეფერთორის წასაკითხად.

14. მიშნის მიხედვით, ქალს 100 მოახლეც რომ ჰყავდეს, ვალდებულია თავად, საკუთარი ხელით:

1. ყოველდღე დაამზადოს სადილი.
2. დარეცხოს ჭურჭელი, მორეცხოს იატაკი.
3. დაახვიოს შალის ძაფი.
4. ქმარს დაფხანოს ქუსლები.

სწორი პასუხი: 1.3; 2.1; 3.4; 4.3; 5.1; 6.3; 7.4; 8.2; 9.3; 10.3; 11.2; 12.1; 13.4; 14.3;

**დამფუძნებელი და გამომცემელი:**  
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30  
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57



**რეგისტრირებულია**  
ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რეგისტრაციის № 4/1-921



**რედაქტორი**  
გურამ ბათიაშვილი